

ოქმი # 2018-06

ქ. თბილისი

12 ივლისი 2018 წელი

სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 4 წევრი:

ვაჟა ლეჟავა
მერაბ სალუქვაძე
შოთა მამრიკიშვილი
შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის მერაბ სალუქვაძის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა მერაბ სალუქვაძის კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მერაბ სალუქვაძის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- ა.(ა).ი.პ. „საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაცია“-ს მიერ შემოტანილი განაცხადის განხილვა, რომელიც ეხება ქ. თელავში ფიგურულ სლალომში შეჯიბრების ჩატარების ნებართვას და ორგანიზატორის ლიცენზიის გაცემას;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ვაჟა ლეჟავამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

ა.(ა).ი.პ. „საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაცია“-ს მიერ შემოტანილი განაცხადის განხილვა, რომელიც ეხება ქ. თელავში ფიგურულ სლალომში შეჯიბრების ჩატარების ნებართვას და ორგანიზატორის ლიცენზიის გაცემას;

სხდომის თავმჯდომარემ, ვაჟა ლეჟავამ მოახსენა სხდომას, რომ საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის მხრიდან შემოტანილია განაცხადება ფიგურულ სლალომში ქალთა შორის შეჯიბრების ჩატარებაზე მიმდინარე წლის 21 ივლისს, ქ. თელავში.

სხდომამ იმსჯელა და შეთანხმდა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას აქვს შესაბამისი გამოცდილება და შესაძლებელია მასზედ გაიცეს ამ ღონისძიების შესაბამისი ორგანიზატორის ლიცენზია. განაცხადში მითითებული თარიღიც არ მოდის წინააღმდეგობაში სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომამ იმსჯელა დღის წესრიგით განსაზღვრულ ყველა საკითხზე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ვაჟა ლეჟავა

სხდომის მდივანი:



მერაბ სალუქვაძე

სხდომის წევრი:



შოთა მამრიკიშვილი

სხდომის წევრი:



შალვა ზამთარაძე